<u>პროექტი</u>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ბავშვზე მორგებული სარჩელისა და უწყების ფორმების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1.

საქართველოს კანონის „ბავშის უფლებათა კოდექსის“ 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს:

ა) ბავშვზე მორგებული სარჩელის ფორმა (დანართი 1);

ბ) ბავშვზე მორგებული უწყების ფორმა (დანართი 2);

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი

„ბავშვზე მორგებული სარჩელისა და უწყების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

პროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კანონის „ბავშის უფლებათა კოდექსის“ 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაევალა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის ყველა დონეზე ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელებისთვის აუცილებელი სასამართლო ფორმების შემუშავება. წარმოდგენილი პროექტი განსაზღვრავს არასრულწლოვნისათვის ადაპტირებულ სარჩელისა და უწყების ფორმებს, რომელშიც ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, მაქსიმალურად შემცირებულია სტანდარტული სარჩელისა და უწყების ფორმების მოცულობა და ბავშვისათვის გასაგები ფორმით არის წარმოდგენილი შესავსები ველები.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას და გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, სახელმწიფოსთვის არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.